გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასახეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში).

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ბ-ნნი წევრნი სამეურნეო საზოგადოებისა ძიწვეულნი არიან მორიგს კრებაზედ, რომელიც იქნება პარასკევს, 30 დეკემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ.

განსახილველი საგნები:

1) მიმოსდინარე საქმენი;

2) ანგარიში სამეურნეო საზოგადოებისა და ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის ხარჯისა და შემოსავლისა;

3) მოხსენება საზოგადოების ნამდვილის წევრის ბ-ნის ტარუშოვისა: „სხვა-და-სხვა გვარი ფუთკარი და კავკასიის ფუთკრის უპირატესობა სხვებზედ“.

კრებაზედ დასწრება შეუძლიანთ არა-წევრთაც.

---

ქართული თეატრი

კვირას, 1 იანვარს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**ხანუმა**

კომ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა.

ხანუმას როლს ითამაშებს ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა.

II

დაჩაგრული უმანკოება

ვოდ. 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა და სხვ.; ბ-ნნი ყიფიანი, აწყურელი, გამყრელიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

---


**Вышла изъ печати и поступила въ продажу**

въ Центральной книжной торговлѣ и въ газетномъ агентствѣ кн Бебутова и К° перепечатанная изъ XI-го тома „Актовъ кавказской археологической комиссіи“ книжка

**„ТЕАТРЪ ВЪ ТИФЛИСѢ СЪ 1845—1856 ГОДЪ“**

in 8°, 213 ст. Чистый доходъ съ изданія предназначенъ на усиленіе средствъ заведенія св. Нины. Цѣна 1 р. с; на веленевой бумагѣ 1 р. 50 к. с.; въ переплетѣ изъ англій скаго коленкора на 50 к. дороже; за пересылку иногороднымъ прилагается 25 к. (5—1)


---

ტფილისი, 29 დეკემბერი

სადაც არის, ეს წელიწადიც უნდა დავასრულოთ, გავისტუმროთ საუკუნეთა წიაღში და ახალს უნდა მივეგებოთ. ჩვეულებისამებრ ძველს წელს თვალი უნდა გადავავლოთ, გავიხსენოთ, რაც ამ წლის განმავლობაში აშფოთებდა მთელს ქვეყანას, რისთვისაც ჰზრუნავდა და ნაღვლობდა კაცობრიობა და ისიც დავიყენოთ თვალ-წინ, თუ რას გვიქადის მომავალი წელი, რა იმედს თუ დარდს გვიღვიძებს გულში და რა ანდერძი უნდა მიიღოს ამ მიმავალ წლისაგან.

წრევანდელი წელიწადი მეტად შფოთიანი და დაუდეგარი წელიწადი იყო მთელის ევროპისათვის. ამ მცირე ხნის განმავლობაში ევროპას მრავალი იმედი გაუცრუვდა, მრავალი დარდი შეეძინა, წარსულთა დროთაგან ნაანდერძევი ერთი-ორად გახადა და ეს გაორკეცებული ანდერძი უნდა მიიღოს ახალმა, მომავალმა წელმა. ევროპამ მთელი წელიწადი ომის მოლოდინსა და თოფ-იარაღის მზადებაში გაატარა, ასე რომ ერთს დღესაც არა ყოფილა მშვიდობიანობაზე დაიმედებული. რომელი სახელმწიფოც გინდათ აიღეთ, დიდი თუ პატარა, ძლიერი თუ უძლური, ყველა იმასა სცდილობდა, რომ საერთო შეტაკებისა და სისხლის ღვრას ხმალ და ხმალ დახვედროდა და ამ საერთო უბედურებისაგან თოფ-იარაღით მაინც თავი დაეღწია. ყველა იის მოლოდინში იყო, რომ დღეს თუ ხვალ ზარბაზნის ჭექა-ქუხილი მთელს ევროპას ფეხზე დააყენებს და ბრძოლის ველზე შეჰყრის თოფ-იარაღით შეჭურვილ ერთა და სახელმწიფოთა. ეს მოლოდინი მოსვენებას არ აძლევდა როგორც ომის მომხრეთა და მოსარჩლეთა, ისე ომის მოწინააღმდეგეთა და მშვიდობიანობის მსურველთა. პირველნი იმიტომ-რომ იძულებულნი იყვნენ მუდამ დღე საომრად მზადებაში ყოფილიყვნენ, მეორენი იმიტომ-რომ ნაღვლობდნენ ერთა ძალ-ღონისა და ქონების დარღვევასა და გაოხრებას. როცა პირველთ იმედი ჰქონდათ, რომ ომიანობა შეამცირებს ერთა შორის უთანხმოებასა და მცირეოდე ანგარიშს გაასწორებსო, ომის მოწინააღმდეგენი ჰფიქრობდნენ და ხმა მაღლა ამბობდნენ, რომ სისხლის ღვრა კიდევ მეტს ღვარძლს დასთესავს ერთა შორის და საუკუნეთა ნაანდერძევს უთანხმოებასა და ქიშპობას გააორკეცებს და ერთი-ორად გახდისო. ამ ორმა დასმა, მოსარჩლემ ომიანობისამ და მოწინააღმდეგემ, მთელი წელიწადი მოუსვენრად გაატარა და თითოეულმა სახელმწიფომ არ იცოდა, თუ ხვალინდელი დღე რას მოუტანდა — მიწასთან გაასწორებდა, თუ კიდევ უფრო მაღლა ასწევდა და აღამაღლებდა იმისის ძლიერების სახელს. უძლიერესნი სახელმწიფონიც-კი ამ ეჭვში იყვნენ და თუ ომი სხვა დროისთვის გადაიდვა, ამისი მიზეზი ეს ეჭვი იყო. ამ ეჭვმა ყველანი დააფიქრა, რომ ვაი თუ ომმა გამდლიერმს და ამიტომ ყველანი იმის ცდაში იყვნენ, რომ საომრად საუკეთესოდ მოემზადონ და მტერ მოყვარე გამოიცნონ.

ეს ამდენი შფოთი და უთანხმოება, რასაკვირველია, იმ ერთის წლის ნაყოფი არ იყო. საუკუნეებგან საუკუნემდე, წლიდგან წლამდე ეს შფოთი თაობიდგან თაობაზე ანდერძად გადადიოდა და თანაც ჰმატულობდა. ეს ანდერძი წელს ევროპას უნდა გაეყო და ბევრს თავიც უნდა დაედვა, მაგრამ ანდერძი ანდერძად დარჩა და როგორც წინად, ისე დღეს მთელი ევროპა ზედ დაჰყურებს.

როგორც ვხედავთ, წრევანდელი შფოთიანი წელიწადი ამ მძიმე და არა-სასურველს ანდერძს გადასცემს და დაუტოვებს მომავალს წელს. წელს არც ერთს ცოტად თუ ბევრად შეამჩნევს პოლიტიკურს უთანხმოებას ბოლო არ მოჰღებია ევროპაში. ერთა და სახელმწიფოთა შორის იგივე განხეთქილება და უსიამოვნება ჰსუფევს, რომელიც წინადაც მოსვენებას არ აძლევდა ევროპას. ამ მხრით მომავალი წელი სასიკეთოს არაფერს უქადის ევროპას, რომელსაც იგი ანდერძი კიდევ მეტს შფოთსა და უსიამოვნება მიაყენებს. ევროპის ჟურნალ-გაზეთებს ლაპარაკი აქვსთ ამის შესახებ და საერთო აზრი ის არის, რომ მშვიდობიანობა ერთა საბედნიეროდ წელს დაცული იყოს და მიზეზი-კი უთანხმოებისა და დაუნდობლობისა ისევ დარჩაო. უნდა ვეცადოთ, რომ ამ მიზეზს ნაყოფი არ გამოვასხმევინოთო, მაგრამ ეს ცდა რომ უნაყოფო იქნება, ეჭვი არ არის. მიზეზი სადაც არის თავს იჩენს და ადრე თუ გვიან შესაფერს ნაყოფს მოგვიტანს. ასე და ამ გვარად ევროპიელი მწერლობა თუმცა მშვიდობიანობის მსურველია, მაგრამ დიდად დაიმედებული არ არის მომავალს წელზე. ერთის სიტყვით, ევროპამ როგორის ნაღვლითაც გაისტუმრა ძველი წელიწადი, იმავე ნაღვლით მიეგება ახალსაც.

ა. ა—სი

---

## ახალი ამბავი

⁂ ბ-ნს გ. ტატიშვილს, რომელმაც ამას წინად ყოვლისფრით მშვენიერი სურათებიანი საყმაწვილო ქართული წიგნი („პირუტყვის ამბები“) გამოსცა, განზრახვა აქვს მეორე წიგნიც დაბეჭდოს „ოქროს თავთავი“. სრული იმედია, რომ ეს ახალი წიგნი არაფრით ჩამოუვარდება „პირუტყვების ამბებს“.

⁂ ეს-ეს არის ჩვენ მივიღეთ ახალი რუსული წიგნი, ტფილისში დაბეჭდილი: „Театръ въ Тифлисѣ съ 1845—1856 годъ“ (თეატრი ტფილისში 1845—1856 წლამდე). ეს წიგნი გადაბეჭდილია კავკასიის საარხეოგრაფიო კომისიის აქტებისაგან და შეიცავს სრულს ისტორიას ტფილისის თეატრისას. სხვათა შორის ერთი წერილი ამ წიგნისა ქართულს თეატრს ეხება (Грузинскій театръ съ 1850—1855 годъ). წიგნი საკმაოდ მოზრდილია და ლამაზადაც არის დაბეჭდილი.

⁂ ბ-ნმა გ. სუნდუკიანცმა, რომლის ოც-და-ხუთის წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილეი უნდა გადაეხადა სომხურს დრამატიულს საზოგადოებას, მრავალი დეპეშა მიიღო მილოცვისა სხვა-და-სხვა ადგილიდგან და სხვა-და-სხვა დასთაგან. სხვათა შორის ახალგაზდობამაც დიდის თანაგრძნობით მიიღო საყოველთაოდ გამოცხადებული ამბავი, რომ ამ თთვის ოც-და-ორს იუბილეია უნდა გადაიხადონ. ხარკოვის კავკასიელ სტუდენტების წარმომადგენელთა უკვე მიულოცეს პატივცემულს მწერალს დღეობა. ჩვენმა რედაქციამაც მიიღო ოდესის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებისაგან, რომლებიც გვთხოვენ პატივცემულს დრამატურგს გადავსცეთ იმათი გულითადი მილოცვა.

⁂ ქართულ დრამატიულის საზოგადოების მმართველობა გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი ანგარიში იმ კონცერტისა, რომელიც მის მიერ იყო გამართული გასულის გიორგობისთვის 20-ს დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

შემოსავალი:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ბილეთების ფასი შემოვიდა | 475 | 50 |
| პრემიები. . . . . | 6 | „ |
| სულ | 481 | 50 |

ხარჯი:

| | | |
|---|---|---|
| ტფილისის კლუბს, სადაც გამართული იყო კონცერტი . . . . . | 75 | „ |
| ერთს კაცს, რომელმაც მიიღო მონაწილეობა კონცერტში . . . . . | 25 | „ |
| ფორტოპიანოს ქირა . . | 20 | „ |
| განცხადებანი გაზეთებში . | 8 | „ |
| ბილეთებისა და აფიშების ხარჯი. . . . . . | 14 | 75 |
| წვრილი ხარჯი. . . . | 15 | 45 |
| სულ | 158 | 20 |

წმინდა შემოსავალი: 323 30

ამასთანავე მართველობა თავის ვალად ჰრაცხს მადლობა უძღვნას იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო კონცერტში: ქ-ნთ ზარუდნაიას, იოზეფოვიჩს, ბიჩურინას, ბ-ნთ ტარტაკოვს, მედვედევს, იპოლიტოვ-ივანოვს, გ. ყორღანოვს და აგრეთვე ტფილისის კლუბის გამგეთ.

⁂ ტფილისის სომეხთ კონსისტორიას სომეხთა კათოლიკოსისაგან ქაღალდი მოსვლია იმის შესახებ, რომ განსვენებული გრაფი მ. ტ. ლორის-მელიქოვი ვანქის ტაძრის გალავანში უნდა დაასაფლაონ.

⁂ რუსული გაზეთები იუწყებიან, რომ პეტერბურგის კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში გაუმართავთ „კავკასიური საღამო“ ღარიბ ქართველ მოსწავლეთა სასარგებლოდ. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა-თამაშიცა ყოფილა. ეს საღამო გაუმართავს თავ. ი. ნაკაშიძეს.

⁂ გაზეთი „Новости“ იუწყება, რომ პეტერბურგის სომეხთა ეკკლესიაში 18 ამ თთვისას პანაშვიდი გადაუხდიათ დიდის ამბით განსვენებულის გრაფ ლორის-მელიქოვის მოსახსენებლად. პანაშვიდს მთელი სომხობა და დიდ-ძალი ხალხი დასწრებია. პანაშვიდზე ბრძანებულა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და მრავალი დიდ-კაცობა.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

გურია. აგერ რამდენიმე წელია მას აქეთ, რაც ლანჩხუთელებმა განიზრახეს ორ-კლასიანის სასწავლებლის დაარსება. იმ ხელად, ღვთის წინაშე, უნდა ვსთქვა, ძალიან კარგად დაიწყეს საქმე. კლასებისთვის კარგი, სუფთა ოთახებიანი სახლი უნდა აეგოთ და კარგი მასწავლებელნი უნდა მოეწვიათ. ასე გასინჯეთ, სასწავლებლის მოსამსახურე ბიჭებიც-კი რჩეულნი უნდა ჰყოლოდათ. ასე იყო იმ თავითვე ლანჩხუთის რჩეულთა აზრი და ვინ ენა-ყბედი გაჰბედავდა მაშინ იმის თქმას, რომ ეს განზრახვა ლანჩხუთელებისა აუსრულებელი დარჩებაო. ყველანი სიხარულით მოველოდით — აი ლანჩხუთელები გაჰმართავენ ორ-კლასიანს სასწავლებელს, გაჩაღდება სწავლა და ლანჩხუთელ მოსწავლეებთან ერთად,

იქნება, გარეშე სოფლელების ბავშვებსაც ჰხვდეს ერთი-ორი მონაგარდი სკამიო. მზად ვიყავით ლანჩხუთის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები, რომ, როცა ლანჩხუთელები სკოლის საქმეს შეუდგებოდნენ, ჩვენც ჩვენის მხრით, რაც შეგვეძლო, შემწეობა გაგვეწევია იმათთვის.

გავიდა რამდენიმე წელი. ლანჩხუთელებმა ამ ხნის განმავლობაში ბევრი საქველ-მოქმედო საქმე ჩაიდინეს, ბევრი სასაფლაო გადათხარეს — კვნესა იმის სასაფლაოდგან და უეჭველად მიცვალებულებს ბატონები დაემართებოდათო, — ბევრი „პრიგოვორები“ შეადგინეს „მარხვის მჭამელებისა“ და „პარასკევის გამტეხლების“ დასასჯელად, ბევრი დედაბრების წინასწარმეტყველება-ქადაგება ისმინეს, ბევრი, ბევრი ამისთანები მოიმოქმედეს, მაგრამ ორ-კლასიანი სასწავლებელი-კი არსად არის!!! რატომ? რამ შეუშალათ ხელი? ნუ თუ „პრიგოვორების“ წერასა და სასაფლაოების თხრას ეგ კეთილი განზრახვა შეესრულებინათ, ის არ სჯობდაო? იკითხავს მკითხველი. დიახ, სჯობდა. ამაზე თვითონ ლანჩხუთელებიც დაგეთანხმებათ, მაგრამ რა ეუყოთ? ლანჩხუთელებმა ორ-კლასიანის სასწავლებლის დაარსების შესახებ იმდენი იფიქრეს, რომ ამ ფიქრში აზრი დაივიწყეს და ორ-კლასიანის სასწავლებლის მაგიერ კაცებმა ვერცხლის ქამრები გაიკეთეს, ქალებმა — ტურნურები და ამითი დასრულდა საქმე.

ღმერთმა ჰქნას, რომ ამ გვარობას აშორებოდნენ სოფ. ბახვისა და ბასილეთის (ოზურგეთის მაზრაში) მცხოვრებლები, რომლებსაც განუზრახავთ ორ-კლასიანის სასწავლებლის დაარსება.

„ივერიის“ მკითხველებმა უკვე იციან, რაც შავი დღე შეასწრეს ყაჩაღებმა გურიას: ზოგს სჭრიდნენ, ზოგს ჯიბეს უცალიერებდნენ, ზოგს აპანღურებდნენ და ვინ იცის რაებს არ სჩადიოდნენ გამგელებული ყაჩაღები. ამ ყაჩაღებისაგან შეწუხებულ გურულების წყევა-კრულვა ცასა სწვდებოდა. ამასობაში მოახლოვდა ბატონი კალანდა. აბა ვინ არ იცის, რომ გურული კაცი კალანდის სიხარულით, დრომდე მაინც, ყოველსავე ტანჯვას ივიწყებს ხოლმე. ეხლა ვიღას ახსოვდა ყაჩაღები! ყველანი საკალანდოდ მზადებას შეუდგნენ: საკალანდო ხორაგისათვის ვინ დატვირთულს ურემს მიაჰრიალებდა ქ. ფოთში, ანუ ქ. ოზურგეთში, ვინ „საქირაოს“ მიდიოდა, ვინ ფულს სესხულობდა. ქათმები და ღორები ხომ დიდი ხანია ყველა ოჯახებმა ჩაასუქეს. მოეწყო რაღა საქმე, კალანდის მობძანებას რამდენიმე დღე-ღა აკლია. და აგერ მთელს გურიას მოედება ლხინი და ქეიფი, დაიძახებთ „აბა დელა“, „ხასან ბეგურას“, „მრავალ-ჟამიერ“ და სხ.

მაგრამ დახე იმ უსინიდისო ყაჩაღების მოწყალებით როგორ უცბად ჩაშხამდა გურიას ეგ მზადება, ეგ სიხარული! ყაჩაღების შესაპყრობად გურიის სოფლებში მობძანდნენ ბატონი უფროსები. უფროსებს მოჰყვნენ ყაზახ-რუსები, ჩადგნენ აქა-იქ სოფლებში და გამოუცხადეს მამასახლისებს — ხარჯი სოფლებმა უნდა გვაძლიონო. ამ ბრძანების ძალით მამასახლისები დადიან სოფელში, თან უცხადებენ ხალხს — ეკუციას (ვითომ-და ეგზეკუციას) ხარჯი უნდა აჭამოთო და თან ჰხოცვენ ძროხებს, ღორებს, ქათმებს, ბატ-ინდოურებს და მიაქვსთ ყაზახ-რუსებისათვის (ზოგი თავისთვისაც). ასე და ამ გვარად წავიდა ხელთაგან კალანდის ტაბლა! კალანდის სახელობაზე გასუქებულები ყაზახ-რუსებმა მიირთვეს, ანუ, სხვა გვარად რომ ვსთქვათ, რაც ყაჩაღებს მოურჩათ, „ეკუციას“ მოუნდა.

— ყაჩაღებს ხომ მაინც შეიპყრობდნენო? იკითხავს ვინმე. შეპყრობით-კი არ შეუპყრიათ, პირ-იქით, ყაჩაღების რიცხვს თითო-ორ-ორი ყოველ კვირაში ემატება, რადგანაც ოზურგეთის საპატიმროს კარები, როგორც ეტყობა, ძლიერ სუსტია.

ე—ი

**თელავი.** დასრულდა ეს წელიც და ამ რამდენსამე დღეში პატრონს უნდა ჩავაბაროთ; მანამდე-კი საჭიროა თვალი გადავავლოთ ჩვენსა თელავს და ამის ცხოვრებას.

ამ ჟამად თელავი სრულის უსაქმურობისა და ზარმაცობის სურათს წარმოადგენს: საქმე და შრომა რას ჰქვიან, ის თელაველებს აქვსთ დავიწყებული, ხოლო კუჭი-კი ახსოვსთ და ყველანი მზად არიან იმისთვის ყოველისფერი გასწირონ და შესწირონ.

თუნდ დღე და ღამე ფარნით ეძიოთ, აქ თქვენ ვერ იპოვნით თავად ურუს-ბეის („ივერია“, № 260), რომელიც თავ-განწირვით სცდილა და სცდილობს დღესაც მეთაურობა გაუწიოს თავისს სამშობლო ქვეყანას და თავისს საყვარელ თანამოძმეს და ამ დროების შესაფერი საბრძოლველი იარაღი მიაწოდოს, რათა წინ წასწიოს ეკონომიურად, გონებითა და ზნეობით.

აქ მხოლოდ კუჭი, კუჭი იყოს სავსე და „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ყველას ფეხებზე ჰკიდია“. გონების საზრდოზე რომ სიტყვა ჩამოუგდოთ, უმეტესი ნაწილი სიცილს დაგწამებთ: „რაო? საზოგადო სიკეთე, ერი, ქვეყანა, ზნეობა, გონებაო? რეებს ჰროტავდა?!. ე, მახლას, ტუტუცია ვიღაც არისო!“ გულ-უბრყვილოდ გაესაუბრებიან ერთმანეთს და თანაც, რაც ძალი და ღონე აქვსთ, სიცილს მოგაყრიან!!.

მოიძებნება აქაც მცირეოდენი ახალგაზდა, რომელთაც ულევით ცეცხლი სამშობლო ქვეყნის სიყვარულისა და სიკეთისა. სამწუხაროდ, იმათი რიცხვი ცოტაა და ამ ცოტათა შორისაც არ არსებობს მტკიცე კავშირი...

თუმცა დღეს ათასში ერთხელ ერთად იკრიბება ეს მოწალმართე ახალგაზდობა რომელსამე კეთილის საქმის გასაკეთებლად, მაგრამ ეს კრება ყოველთვის იმითი უფრო სრულდება, რომ ერთმანეთს სიტყვა-პასუხში კილი უპოვნონ და ერთმანეთი ცხარედ გაჰკიცხონ.

—

არც დედაკაცები ჩამოუვარდებიან უსაქმურობით მამაკაცებს.

წარმოიდგინეთ, ღამე არ გაივლის ისე, რომ ოცობითა და ორმოცობით ლოტოთი მოფენილს ტაბლას არ უსხდნენ გარშემო და არ გაიძახოდნენ დილის ოთხ საათამდე: „პედესეტ ადინ“, ‹შედესეტ› და სხვა. შესანიშნავი უფრო ის არის, რომ იმისთანა დედებიც-კი არ აკლდებიან ამ „გონების“ სავარჯიშოს, რომელთაც ძუძუს მწოვარა, პატარა ქორფა ბალღები ჰყავსთ. ეს პატარა ჩვილი ბავშვები უძუძუროდ მიტოვებულნი არიან მთელის რვა-ათის საათის განმავლობაში, ცნავილით მწარედ ოსდებიან აკვანში ჩაკრულნი, მაგრამ სამაგიეროდ დედები ხომ „რიგ-რიგად ვეჩერში“ დროებას ატარებენ? აბა რა საჭიროა ჩვენის დედებისათვის, ან ჩვენთვის სხვა რამ ზრუნვა და საქმე?! მაშ გაუმარჯოს ჩვენს ქართველს ქალებს, ლოტოს და იმათ „პედესეტ ადინსა“ და „შედესეტს“.

ეხლაც არ დარწმუნდებით რომ „ჩვენისთანა ბედნიერი არსად არის სადმე ერი!“..

—

არის კიდევ ერთი ჯურის ხალხიც ამ დალოცვილს თელავში, რომელიც თავ-აღებულად, მედიდურად სტკეპნის ქუჩასა და ბულვარს, თავისს თავს ნასწავლად სთვლის, გარეგნად სპეტაკობს... შორიდგან ელავს... ხშირად ლამაზ-ლამაზ სიტყვებსაც ისვრის, რაღაცას ბაქი-ბუქობს!.. მაგრამ ვაი თქვენს მტერს, როდესაც ამ ფუყე ხალხს საქმეში გამოსცდი და გასინჯავ! მაშინ უეჭველად მოგაგონდებათ აკაკის ლექსი „ფუტურო“.

არის კიდევ სხვა ჯურის ხალხიც, ესრედ წოდებულნი: „შვილნი უთაურნი“, ანუ „მფლანგველნი მამა-პაპეულისანი“, რომელნიც ყველგან უსაგნოდ და უხეიროდ დაეხეტებიან და რომელთაც მხოლოდ ის გაუხდიათ რჯულად და რწმენად, რაც შეიძლება საჩქაროზე გაფლანგონ და გაასხრონ თავიანთ მამა-პაპის მონაგარი, ათასჯერ გმირულად სისხლით მორწყული და ძვლებით გაპოხიერებული მამულ-დედული.

როგორც ჭყურტით ავადმყოფობა ადამიანს წყურვილს არ უკლავს, ისე ამათ ვალზე ვალის აღება ვალის სურვილს არ უკლავსთ!.. ოღონდაც ვალი იშოვნონ და თუნდ წლის განმავლობაში თუმანში თუმან-ნახევარი გამოართვან სარგებელი, იმათთვის სულ ერთია!..

ოღონდაც ამ გვარად აღებულ ფულით კუჭში არა-ჩვეულებრივი სასმელ-საჭმელი ჩაალაგონ, თვითონ კოხტად ჩაიცვან, ცოლებიც შესაფერად მორთონ და არამც თუ ნაწვავნადაგს და წამებულს მამა-პაპეულს, ცოლ-შვილსაც-კი „ზაკლადნოით“ მისცემენ რომელსამე სისხლის მწოვარა ვაჭარს. ეს სამარცხვინო შვილები, რომელთაც დაუვიწყნიათ პატივის ცემა და ანდერძი მამა-პაპათა, შეუგინებიათ მათი საფლავი, გმირობა და სიქველე თავიანთის დაქუცმაცებითა და უთაურის მოქმედებით, — გამოჩნდებიან თუ არა თელავში, ყველა წვრილი მოვაჭრე მითითებით დაგანახვებთ: „აი, მიდის თუშქიანცის ყმა“. მეორე ჩამოივლის თუ არა დოინჯით, იმასაც მიგითითებენ: „აი მიდის ძაღლის ყბის ყმა“, ‹აი კიდევ ბეგიჯიანცის ყმა› და სხვა და სხვა. ან კი როგორ არ უნდა უწოდონ ეს სახელი ამ მამა-პაპის ამაოხრებელთ, როდესაც, რამდენისამე მანეთის სესხობაში, მთელი მამულ-დედული ხელში ჩაუდიათ ქვეყნის ჭამიებისათვის.

საქმე ისე აქვსთ ამ ჭამიებს დაყენებული, რომ თავად ყმამ უნდა დაიმუშაოს თავისის საკუთარის ხარჯით მთელი თავისი მამული, რაც-კი რამ გააჩნია, და კალოობაზედა და რთველზედ-კი მთელის წლის მოსავალი მოვაჭრეებმა უნდა წამოიღონ სულ რამდენისამე მცირე ოდენის ვალის სარგებელში.

ხშირად მუხლის მოდრეკითაც ემუდარებიან ეს გმირი მამა-პაპის შთამომავალნი ამ ვაჭრებს: „თუ თქვენი ხატი გრწამთ, ერთი-ორი კოდი პური მაინც არის დამიგდეთ ცოლ-შვილის გამოსაკვებად და ორიოდ ჩაფი ღვინო მკვდრისა და ცოცხლის ზედაშედაო“. მაგრამ ხშირად უყურადღებოდ რჩება ამ გვარი თხოვნა და მუდარა. ამ ვაჭრების საქციელის შესახებ დაჰღუღუნებს ხოლმე ჩვენი გლეხი:

ვაჭარო, ნუ იცარცვები,
შეხედე მაღლა ღმერთსაო!
თორემ მოვა დრო, რომ ხალხი
ზურგზე აგადენს მტვერსაო,
და მაშინ გვიან იქნება
ფლიდური სინანულიო,
ერთ ვირით სამ-სამს გაგზავნის,
სიდანც ხართ შემოსულიო.

ის-კი არ ეგონოს პატივცემულს მკითხველს, ვითომ თელავის მოვაჭრეთა შორის მხოლოდ ორიოდე მგელკაცა მოიპოვებოდეს და დანარჩენს ვითომ რაიმე ნამუსის მხილება გაჩნდეს?! თელავის მოვაჭრეთა შორის ევები ერთი-ორს ჰქონდეს სახელი გაკეთებული მუშტრის თვალში და ამიტომ ისე აშკარად ვერა ჰბედავენ ხალხის ძარცვა-გლეჯას.

დავანებოთ თავი ამ მოვაჭრეთ და ავიღოთ თუნდ ხელოსანი ხალხი, სახელდობრ დერციკები, რომელთაც როგორც ხელოსანთა უნდა სიბრალული ჰქონდეთ ასე თუ ისე მუშა ხალხისა. ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ საქმით რასა ვხედავთ?! დღე არ გაივლის ისე, რომ შემდეგს ამბავს არ წააწყდეს მეთვალყურე: შეიყვანენ უეიც გლეხს, რომელსაც უნდა ჩოხა ან სხვა რამ ამ გვარი იყიდოს, დაუფასებენ ერთი-ორად, გაიმართება ჩინჩობა. თერძი გამოართმევს ჩოხას, მიაგდებს იქვე შალებზე, ან სხვაგან. ბოლოს დაუკლებს ფასს გლეხსაც, ამატებინებს ერთ ორიოდე შაურს და წაუბუტბუტებს ამ გვარ სიტყვებს:

— ამოიღე ფული! ამოიღე!! განა ამ ფასში უნდა მიიცეს ეგ საქონელი!! მაგრამ რა ექნა, რომ დილის სიფთაა (ან საღამოს ჟამია). განა ამაში ხეირი გვაქვს?! შენის მტრის ოჯახში შევიდეს ამის მოგება!.. აბა, შვილო, დაისტატდით?! თქვენ ვინღა მოგატყუებთ?!. თქვენ რომ ვაჭრობა ისწავლეთ, ჩვენი ოჯახი მაშინ დაიქცაო.

ამისთანა და სხვა მრავალ გვარის ხერხითა და სიტყვით გამოართმევს ფულს. მიტრიალდება უცებ, ნავაჭრს იქით გადასდებს, იმის სამაგიეროდ ჩამოიღებს დაბალსა და უვარგისო ჩოხას და მისცემს. თან ეტყვის „ღმერთმა მშვიდობაში გაგაცვეთინოსო“.

გლეხი გაშლის, შეიტყობს, რომ ჩოხა გამოუცვალეს, დაიწყებს ყვირილსა და წყრომას, მაგრამ აბა რას გახდება! ფული ხელში ჩაიგდო სვავმა და ძნელი-ღაა იმის ბრჭყალებიდგან რისამე გამოგლეჯა. ხშირად თავ-პირს დაალეწენ და ისე გამოაგდებენ. უსამართლოდ დაჩაგრულს გლეხობას არავინ არავითარს შემწეობას არ აძლევს. ჩვენც არა ერთხელ ვყოფილვართ მოწამე გლეხის ცრემლისა.

—

ეხლა ორიოდე სიტყვა აქაურ ყასბებზე. ეს დალოცვილები რასა ჰკლენ და რას არა, ეს არავინ უწყის. ყასბებს თითზე ჩამოთვლილი ჰყავსთ, ვისაც უნდა გაუგზავნონ რიგიანი ხორცი; დანარჩენ კარგ ნაჭრებს მოვაჭრეთა შორის გაანაწილებენ და უვარგის ნაყარს-ნუყარს-კი მკვიდრს აჰკიდებენ ზურგზე!.. ნიხრიც აქვსთ დადებული, მაგრამ საქმით-კი თავისს დღეში არა სრულდება. ჯერ ნიხრს ააკრავენ თუ არა საყასბოს დარაბებზე, ყასბები მაშინვე ჩამოჰგლეჯენ და დაჰხევენ. ჩვენი მენიხრეებიც იმისათვის თავს არ იცხელებენ სრულდება ის, რაც ნიხრში მოხსენებულია, თუ არა — ეს მათთვის სულ ერთია. ერთხელ ხომ ააკრეს და თავიანთი მოვალეობა შეასრულეს! აბა სხვას რაღას დასდევენ?! თითონ კარგი „ნაჭრები“ არ მოაკლდებათ და სრული საბუთი აქვსთ — „მაძღარს ხუცესს დიაკვანიც მაძღარი ეგონაო“... და რაც შეეხება იმას, რომ მკვიდრმა კარგი ხორცი მოსთხოვოს, ‹მოიტ სამი შაური და რიგიანს ხორცს მოგცემო›, უპასუხებენ ყასბები. და ვაი იმისი ბრალი, თუ ვინმე თავზე ხელაღებული გამოვიდა და დაწონილს ნახევარ თავ-კისერზე წუნი შეიტანა და ან ნიხრზე გაალარლილა რამე, — მაშინ ხომ თავისს თავსაც მთელს ველარ წამოიღებს! და თუ ეს მოახერხა როგორმე, „ელაბრულის“ უშვერის ლექსით მაინც ისე შეამკობენ, რომ მტკვარმა და ალაზანმაც ველარ გარეცხოს! და თან მიაყოლებენ: საცა გინდა გვიჩივლეო. ალბად კარგად იცის ყასაბმა, რომ თავ-დამჭერი არავინა ჰყავს...

ყასბების უსუფთაობაზე არა ერთხელ ყოფილა დაწერილი: საქონელს იქვე ნეხვსა და ნაგავში ჰხოცავენო, თითონ ყასბებს ოთხი-ხუთის წლის გაურეცხელი და ჭუჭყისაგან ვალიფული ტანთსაცმელი და წინ-საფარი აცვიათ და მანამ არ გაირეცხენ, სანამ ჭუჭყისაგან გორახივით არ დაიმტვრევა; დაზგებზე ხომ თითო გოჯის სისქეზე ჭუჭყი აკრავსო და სხვა და სხვა, მაგრამ რა, დღესაც ამ გვარს და უარესს მდგომარეობაშია ჩვენი საყასბოები და იმისთვის თავსა და გულს არავინ იტკივებს...

—

ეხლა ავიღოთ თუნდ ის ერთად-ერთი საცოდავი ხის ბოგირი, რომელიც თელავის უმთავრესს ქუჩაზეა და ძველისა და ახალის თელავის ერთად-ერთი შემაერთებელი და რომელსაც ისე დაჰფლეთია ზურგი და გვერდები, რომ დღე არ გაივლის, რამდენიმე კაცი, ცხენი, პოვოსკა, ურემი, ფაიტონი და სხვა არ ჩავარდეს შიგ. მთელი დღე არის ერთი დაუსრულებელი ხორხორი მაშველის ხალხისა.

უბედურება კიდევ ის არის, რომ გზა არსაიდგან მოევლება ამ ბოგირს. ეს ამბავი, თუ მეხსიერება არ გვატყუებს, ორჯელ იყო გაზეთში დაწერილი. ეხლა ვიკითხოთ: მიაქცია რომელმამე წესიერების დამცველმა ამ უწესოებას ყურადღება, როდესაც გაზეთმაც კი ორჯელ მიუთითა?! არა და ათასჯერ არა!

ამ დალოცვილებს თუ ერთი ორიოდე ფიცრის დაკვრა (კოჭი და ბოძები მაგარი აქვს) გაუჭირდათ, ხარიხებს მაინც გადაუდებდნენ, რომ ამით დაეხსნათ უბედურებისაგან გამვლელები და მეტადრე უცხო გამვლელ-გამომვლელი.

აი ჩვენის ცხოვრების სურათიც. შარშანაც და წინადაც ამავეს ეჩიოდით, მაგრამ არა გამოდნა-რა. ამიტომ თელაველები ახალს წელსაც ეჭვით შევსცქერით: ვაი თუ იმ წლის გასვლისას ამავე საჩივრით მივმართოთ მკითხველს.

მოქალაქე

## წერილი ოდესიდამ

(ა. პ. სანაძის სიკვდილის გამო)

კიდევ გამოაკლდა ერთი წევრი ჩვენს ისედაც პატარა წრეს. თითქოს განგება გარისხებულია ჩვენზე—ყოველ წელიწადს თითო - ოროლა მსხვერპლს იწირავს ჩვენგან. ოთხი წელიწადი არ არის ჯერ, რაც ნ. ლორთქიფანიძე დავმარხეთ, და მეოთხე ამხანაგის სიკვდილის ამბავი მოგვივიდა. მერე როგორ არჩევს მწარე სიკვდილი და ნიშანში იღებს საუკეთესო ყმაწვილებს? ი. სალაყაიასა და მ. ჰანტურიას სიკვდილს აღარ დაგვაჯერა და ამ დღეებში წაგვართვა კიდევ ა. სანაძე. ღმერთო ჩემო, რა დაგვიშავებია ამისი ფასი, რომ ამისთანა ყმაწვილები, როგორიც ი. სალაყაია, მ ჰანტურია და ა. სანაძე, აკლდებიან ჩვენს დასს? ნუ თუ არაფერი საშველი არ არის, ვიხსნათ როგორმე თავი ამ უბედურებისაგან? ნუ თუ კიდევ ბევრი წელიწადი გაივლის, კიდევ ბევრს მსხვერპლს შეიწირავს ჩვენთვის აუტანელი ჰავა, სანამ ჩვენში მაღალი სასწავლებელი გვეღირსებოდეს? ნუ თუ იმისთვის უნდა ვეწვალოთ ათი-თორმეტი წელიწადი გიმნაზიაში, რომ შემდეგ რუსეთში წავიდეთ და იმის მაგიერ, რომ დავაგვირგვინოთ ჩვენი სწავლა და სრული მომზადებული მოვიდეთ სამშობლოში, სული დავლიოთ? ჩვენი ახალგაზრდობა უფრო ოდესას ეტანება, ვითარცა უფრო კარგის ჰავის ადგილს, მაგრამ რას ვხედავთ? ეს კარგ-ჰავიანი ქალაქიცკი მუსრს ავლებს ჩვენს ყმაწვილებს. ძვირად ჰნახავთ აქ ქართველს სტუდენტს, რომ გული არა სტკიოდეს. აქაური ექიმები გაკვირებულნი არიან, რა დაგემართათ, რომ ყველანი ავადა ხართო. ამ ნაირად ვინ იცის, ყველ რომელი ჩვენგანი გამოესალმება ამ წუთი-სოფელს?! აბა, ვინ იფიქრებდა ჩვენგან ამ რამდენისამე თვის წინად, რომ ა. სანაძე ასე მალე მოკვდებოდა? კაცი ენერგიით იყო სავსე, რომ მომზადებულიყო ქვეყნის სამსახურისათვის, ნიჭიც შესწევდა ამისათვის და გულიც. ბევრს ვერა ჰნახავთ სანაძისთანა ყმაწვილს ჩვენს სტუდენტობაში. განსვენებული ბუნების მეცნიერებას სწავლობდა და სწავლობდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისის სამშობლოსათვის ემსახურნა. განსვენებული ყოველთვის მზად იყო ყოვ ლ თავისს ღარიბ ამხანაგისათვის ხელი გაეწვდინა. საკმაო იყო ერთი დაჰლაპარაკებოდით, რომ მაშინვე გეცნოთ, თუ რა სულისა და გულის პატრონი იყო საბრალო ყმაწვილი.

საბრალოს სიცოცხლე უნდოდა, უნდოდა იმისათვის, რომ ეშრომნა, ემოქმედნა საზოგადო სარბიელზედ, მაგრამ არაო, უთხრა სიკვდილმა: ქვეყანას შენს თავს ვერ დავანებ, შენ მე მჭირდებიო, და წაიყვანა.

ა. სანაძეს ეგონა, სამშობლოს ჰაერი გამომაბრუნებსო; ექიმებმაც ურჩიეს და გამოგზავნეს საქართველოში, მაგრამ ვეღარც ამან უშველა რამე, და კაცი, რწმენითა და იმედით სავსე, გამოესალმა წუთი-სოფელს, სწორედ მაშინ, როდესაც საჭირო იყო სამშობლოსათვის. დედას, რომ მოწიფული შვილი უკვდება, თუ სხვა შვილი მაინც დარჩა, თავს ინუგეშებს, მაგრამ თუ საყვარელი შვილი უძეოდ გადაუშენდა, დედის მწუხარებას საზღვარი არ ექნება. იმისთვის ისეთი ყმაწვილის სიკვდილი, რომელსაც შეეძლო შესამჩნევი სამსახური გაეწია ქვეყნისათვის, სწორედ რომ სანაღვლო და სამწუხაროა. ა. სანაძე სწორედ იმისთანა ყმაწვილი იყო და, მე მგონია, არ გამიწყრება მკითხველი ამ სტრიქონებისათვის, არამედ ჩაუკვირდება ჩემს სიტყვებს და იფიქრებს რასმე მომავალისათვის...

ოთხის კაცის სიკვდილი ამისთანა მცირე დროს განმავლობაში, იმისთანა პატარა წრისთვის, როგორიც ოდესის ქართველი სტუდენტობაა, ხუმრობა არ არის. ამას მიუმატეთ სხვა მსხვერპლიც და თქვენ გაიგებთ, რამდენად დასაკლისი უნდა იყოს ჩვენთვის იმისთანა კაცის სიკვდილი, როგორიც სანაძე იყო...

დასასრულ არ შემიძლიან ჩემისა და ჩემის ამხანაგების მაგიერ, რომელნიც მეგობრები ვიყავით სანაძისა, არ გამოვუცხადო სალოდავს იმისს მშობლებს გულითადი სამძიმარი: მარტო თქვენთვის-კი არ არის თქვენის შვილის სიკვდილი სამწუხარო, არამედ ჩვენთვისაც და ჩვენთან ერთად ჩვენის საზოგადოებისათვისაც. თქვენს საყვარელს შვილს მარტო თქვენ-კი არ ჰგლოვობთ, თქვენთან ერთად ჰგლოვენ იმას სხვანიც, თქვენთვის სრულიად უცხონი! ამას ვამბობ, რომ ამით მცირედ არის მაინც ინუგეშონ თავი, როცა შეიტყობენ, რომ მწუხარებაში მოზიარენი ჰყავთ.

დ. ხ.

17 დეკემბერი 1888 წ.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

მე იმ დასს არ ვეკუთვნი, რომელიც ეშვით უყურებს გაზეთებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თვალ-ყურს ადევნებენ მოხელეთა მოქმედებას. პირ-იქით, მსურველიცა ვარ, რომ კიდევ ბეჯითად ადევნებოდნენ თვალ-ყური მოხელეთა ავკარგიანობისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა სრული ჭეშმარიტება. ამას წინად „Тифлисскій Листокъ“-ში იყო დაბეჭდილი ამბავი (და აქედგან სხვა გაზეთებმაც გადაჰბეჭდეს), რომ „წითაში სამი კაცი უშოვნიათ ავაზაკებისაგან მოკლულიო და სხვა“, მაშინ-როდესაც ამ გვარი არა მომხდარა-რა და მხოლოდ ვიღაცა კორრესპონდენტმა გამოიგონა სოლარი ზღაპრობა და რწყილს აქლემი აშობინა. აი საქმე როგორ იყო: წითიდგან ბელლეთში მიმავალ რუსებისათვის ვიღაცა სპარსელებს ჩექმები წაერთმიათ და მე მაშინვე შევკარი გზები, მოვრეკე ტყე და დავიჭირე მძარცველები. ეს ამბავი და კორრესპონდენტის სიცრუე მაშინვე შევატყობინე ბ-ნს რედაქტორს, მაგრამ ყურადღება არ ათხოვა. ამ გზობით ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს შეგატყობინოთ, რომ ერთს თქვენს კორრესპონდენტსაც შეცდომაში შეუყვანია-ხართ კორრესპონდენციით, რომელიც „ივერიის“ მე-264 №-ში იყო დაბეჭდილი ავტორი სჩივის, რომ ყვირილაში ავაზაკობა გაშირდა და პოლიციას ჭმართებს თვალი გამოახილოსო. ამდენის ხნის განმავლობაში, რაც მე აქ პოლიციის მოხელეთა ვარ, მხოლოდ ორი შემთხვევა იყო: 14-ს ნოემბერს გასტეხეს ვაგონი და საქონელი მოიპარეს. მე ჩავუდექი კვალში, ქურდები მეორე დღესვე დავიჭირე, ნივთები ვიპოვე და საქმე გადავეცი გამომძიებელს. მეორე შემთხვევა ტელეგრაფის უწყებაში მოსამსახურე ყურულის გაძარცვა იყო. აქაც მივყევი კვალ და კვალ და საქმე გამომძიებელს გადავეცი. არც კანონითა და არც სინიდისით ადგილობრივს პოლიციას მეტი ამის მეტი არა მოეთხოვება-რა და ამაზე მეტი თვალ-ხილულობაც აღარ მოსეხდება. მაგრამ თუ თქვენს კორრესპონდენტს ისა ჰგონია, რომ პოლიციამ წინ-და-წინვე უნდა იცოდეს სად რა მოხდებაო, ეს შეუძლებელია! მაშინ ჩვენ ან გულთა მხილავი უნდა ვიყოთ და ან დამნაშავეთა თანამოზიარე, მაგრამ პირველი ბედს ჩვენთვის არ მოუნიჭებია და მეორე-კი ღმერთმა გვაშოროს...

ადგილობრივის პოლიციის ბოქაული
ბ. ქავთარაძე

### II

ამას წინად „ივერიის“ მოწერილს ამბებში იყო დაბეჭდილი, რომ ხუთს ქრისტეშობისთვეს წარმოდგენა იყო ოზურგეთში გამართულიო. თუმცა ამ წარმოდგენაში ზოგიერთები უბილეთოდ შემოვიდნენ, ზოგიერთები ათშაურიანისა და მანეთიანის ბილეთებით სამ-მანეთიან სკამზედ დაჯდნენო, მაგრამ ყოველსავე ხარჯს გარდა 80 მან. და 60 კაპ. მაინც დარჩაო და სხვანი. აი ეს მცირე შენიშვნა „ზოგიერთებმა“ მე მამაწერეს და მკიცხავენ. ამისათვის ვსთხოვ რედაქციას გამოაცხადოს, რომ ხსენებულის შენიშვნის დამწერი („ივერია“ № 262) მე არა ვარ*). აბა თუ მე დამეწეროს, არამედ იმს დამწერს მე თითონ ვეძებდი იმიტომ, რომ ის შენიშვნა მეც შემხო, რადგან წარმოდგენის დარბაზი კარებზედ მებილეთემე ვიყავი, და მრალდებოდა, ვითომც უბილეთოდ კაცი შემეშვას წარმოდგენაზედ. უბილეთოდ შესვლაზე ვერაფერს ვიტყვი და წესიერების დარღვევა-კი აქ ჩვეულებად ყოფილა გადაქცეული. ამას იმიტომ-კი არ ვაცხადებ, რომ მეშინიან ვისიმე, არამედ იმიტომ ვწერ, რომ არა მსურს ჩემზედ ელაპარაკოს საზოგადოება და უდანაშაულო კაცს ალმაცერად მიცქირონ.

კონსტანტინე თავართქილაძე
ქ. ოზურგეთი

*) რედაქცია აცხადებს, რომ ბ-ნი კ. თავართქილაძე არ არის „ივერიის“ მე-262 №-ში დაბეჭდილის ამბის ავტორი.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 6 დეკემბერს დეპუტატთა პალატაში ჩამოვარდა ლაპარაკი იმ ხარჯის გამო, რომელიც საერო განათლებისთვის გადაიდება ხოლმე ყოველ-წლივ. მემარჯვენეთა კიცხვა დაუწყეს მთავრობას: თქვენ დიდ-ძალს ფულსა ჰხარჯავთ განათლებისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი განათლება საერის კაცო ხასიათისა იყოსო. თქვენის მიზეზით 1876 წლიდამ მაგ ხარჯმა მეტს-მეტად იმატა. ვხარჯავდით 38 მილიონს ფრანკს და მას უკან-კი ვხარჯავთ 85 მილიონსაო. მთავრობამ უპასუხა მემარჯვენეთა, რომ საყოველთაო, სავალდებულო და უფასო სწავლის შემოღებას უთუოდ თან მოსდევს ისიც, რომ იგი სწავლა საერის-კაცო ხასიათისაც იყოს. თუ მეტი იხარჯება ეხლა სწავლა-განათლებისათვის, ამისი მიზეზი სრულიად ის არ არის, რომ სწავლა-განათლებას საერისკაცო ფერი და ხასიათი დაედო; საკუთრად ამ საგანზე ოთხი-ხუთი მილიონი ძლივს იხარჯებაო.

ამ დროს ავიდა ტრიბუნაზე ფლოკე და სთქვა შემდეგი:

„მე ის მაკვირვებს, რომ მემარჯვენეთა ორატორები ემდურებიან სარესპუბლიკო მთავრობას, რად გააკეთო ის საქმე, რომელიც უფრო დიდებულია და სასახელო, ვიდრე სხვა რამ, მისგან გაკეთებული. ეტყობა ორატორებს ავიწყდებათ, რა მდგომარეობაში იყო საერო განათლების საქმე საფრანგეთში წინად. მე ის ძველი დრო არა მაქვს სახეში, როცა საფრანგეთი არაფითარს დიდებულს საქმეს არ მისდევდა, არამედ ის დრო, როცა სწორედ ასეთს მაღალს საქმეს გამოეკიდა. ასეთი დრო იყო დიდის რევოლიუციის შემდეგი დრო. იცით მერე, რა მცირე იყო მაშინ ზრუნვა მთავრობისა ქვეყნისათვის? ნაპოლეონ I-ის დროს პირველ დასაწყისის სკოლებისათვის მხოლოდ 5,000 ფრანკი იხარჯებოდა წელიწადში (მემარცხენენი უწონებენ ლაპარაკს, ხოლო მემარჯვენენი ხმაურობენ).

კუნეო დ'ორნანო. თქვენ გავიწყდებათ, რომ მაშინ ისეთი თავისუფალი სკოლები იყო, რომელიც, თუ დღევანდელზე უკეთესებს არა, ნაკლებს კაცებს არა ჰზრდიდა.

ფლოკე. რესტავრაციის დამლევს ამ ხარჯმა ცოტაოდნად იმატა, ვგონებ სულ 1.200,000 ფრანკი იყო. უფრო იმატა ხარჯმა ივლისის მთავრობისა და მეორე იმპერიის დროს. მე მეუბნებიან აქა, რომ მაშინ საფრანგეთში თავისუფალი სკოლები იყოვო. თქვენ ბრძანებთ: „თავი მოგვწონს, რომ ისეთი სკოლები იყოვო!“ დიაღ, ბატონო, გახლდათ სკოლებიცა და სწავლა-განათლებაც, მაგრამ ერთიცა და მეორეც ხელში მღვდელს ეჭირა! (მემარჯვენენი სიტყვას აწყვეტინებენ ორატორს). მე ვამტკიცებ, რომ მაშინ მხოლოდ მცირეოდენი სკოლები იყო რიგიანი (მემარჯვენენი წინააღმდეგობენ) ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ურიგო წესი სწავლა-განათლებისა შეგვეცვალა და უკეთესი, სრული წესი შემოგვეღო, ისეთი წესი, რომელიც თავისუფალია ყოველის ძალ-დატანებისაგან. ასე იმიტომ-კი არ მოვიქეცით, რომ შეგველახა თავისუფლება სვინიდისისა: მით უმეტეს სოცარია, როცა ამას გვეუბნებიან ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ საერო განათლება უთუოდ კათოლიკეთა ეკლესიის ხელში უნდა იყოსო. დიაღ, ეს აზრი თქვენი აზრია და არა ჩვენი (ტაშის-კვრა ისმის მემარცხენეთა შორის, მემარჯვენენი წინააღმდეგობენ)

გოდენ-დე ვილენი. ფრანკმასონობა?

ფლოკე. სად ფრანკმასონობა, სად სარწმუნოება და რელიგია? აი აბძანდით ტრიბუნაზე და ეცადეთ დაგვიმტკიცოთ, რომ ძველად ჩვენს ქვეყანაში უთუოდ დაკავშირებული არ იყო სწავლებისა და სავალდებულო სარწმუნოების საქმე?

გოდენ დე-ვილენი. თქვენ კიდევ წავლებისა და ურწმუნოების საქმეს აკავშირებთ! (მემარცხენენი ხმაურობენ).

პალატის პრეზიდენტი სთხოვს გოდენს, რომ წესიერებას ნუ არღვევთო.

ფლოკე. მე ვამტკიცებ, რომ ძველად სწავლებასა და სარწმუნოებას ერთმანეთს უკავშირებდნენ; ისე უკავშირებდნენ, რომ სცდილობდნენ პროტესტანტებისათვის წაერთმიათ ყმაწვილები და კათოლიკებად გაეხადნათ.

გრაფ ლანჟუნე. თქვენ კიდევ ართმევთ ყმაწვილებს ოჯახსა და ასწავლით ურწმუნოებას.

ფლოკე. თუ ყოველ სიტყვაზე ასე პირში მომწვდებიან, მე ჩამოვალ ტრიბუნიდამ. ამ გვარად კამათობა არ შეიძლება (მემარჯვენენი ხმაურობენ).

პრეზიდენტი პალატისა. აღარავის აღარ მოუთმენ, რომ მოლაპარაკეს სიტყვას აწყვეტინებდნენ. მეტის-მეტია ასეთი უწესოება.

ფლოკე. ბატონებო, თუ მთავრობის ჯავრს ტრიბუნაზე ჰყრილობთ და ტრიბუნას გინდათ მოახვიოთ ის ტყუილი ბრალი, რასაც რესპუბლიკას სდებთ უსაფუძვლოდ, მოუსმინეთ მაინც იმათ, ვისაც უნდათ გიამბონ, რა გაკეთებულა იმ საქმეში, რომელიც უდიდებულესია ყველაფერზე, ესე იგი რა გაკეთებულა საერო განათლების საქმეში. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც სწავლა-განათლების საქმე თქვენ დაუქვემდებარეთ კათოლიკეთა სამღვდელოებას, თქვენ დაუმორჩილეთ მასწავლებელი კათოლიკეთა მღვდელს თქვენ შეიწყნარეთ კანონი 1850 წლისა და იმ კანონმა სწავლა-განათლების საქმე განსაკუთრებით სამღვდელოებას ჩაუგდო ხელში ხოლო ჩვენ რა მოვიქმედეთ? ჩვენ მოვინდომეთ სწავლა-განათლება განგვეთავისუფლებინა ყოველ გვარის ძალ-დატანებისაგან და აი ამიტომ შემოვიღეთ საერისკაცო სკოლები. რაკი დავაწესეთ, რომ სწავლა საყოველთაო, სავალდებულო და უფასო უნდა იყოსო, არ შეიძლებოდა საერისკაცო ხასიათი არ მიგვეცა სკოლისათვის. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, ვერ ვეტყოდით ჩვენს თანამემამულეებს: აბა ისწავლეთ ჩვენს სკოლებშიო. ამის თქმა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა იგი სკოლები განსაკუთრებით ცალკე დასის ხელ-ქვეით არ იქმნებოდა. ამ სახით ჩვენ გავანთავისუფლეთ სინიდისი და ამასთანავე არ შევეხეთ არავის თავისუფლებას სარწმუნოებაში (მემარცხენეთ მოსწონთ ეს სიტყვები, ხოლო მემარჯვენენი იცინიან). თქვენ, რამდენიც გნებავთ, იცინეთ, მაგრამ მაშინ-კი დარწმუნდებით, რომ ნამდვილად ასეა საქმე, როცა ახალი თაობა განდევნის ამ კრებიდამ ძველის წესების მიმდევართა (მემარცხენენი ჰხარობენ, მემარჯვენენი ილრუბლებიან და ჯავრობენ). აი ამ დიდისა და სამშვიდობო რევოლიუციის მოსახდენად ჩვენ დავხარჯეთ მხოლოდ ოთხი, თუ ხუთი მილიონი. დავხარჯეთ ეს მცირე ფული და გავანთავისუფლეთ სკოლა კონგრეგაციების მასწავლებელთაგან, რომელთა მაგივრად დავაყენეთ მასწავლებლებად ერის კაცნი. ეს რა ხარჯია კიდევ! ჩვენ ბევრი სხვა ფულიც დავხარჯეთ 25,000 სკოლის ასაშენებლად. ამ სკოლებში მოუყარეთ თავი მილიონ ნახევარს ყმაწვილს (ისმის ტაშის კვრა). დიაღ, ჩვენ დიდი ფული დავხარჯეთ იმ წმინდა საქმისათვის, რომელსაც კეთილ მამულიშვილთა მომზადება ეწოდება (ტაშის კვრა). თქვენ ჰგონებთ, რომ სკოლების აშენებაზე მეტი დაიხარჯაო. წაბრძანდით და ჰკითხეთ ხუროთ-მოძღვრებსა, ეგ საქმე იმათ უნდა გადასწყვიტონ (მემარჯვენენი სჩივიან და დრტვინავენ). დიაღ, მართალი გახლავთ, რომ ჩვენ დავმართეთ აუარებელი სკოლები იმ ღარიბის ერისკაცობისათვის, რომელიც აქამდე უსინათლოდ იყო დატოვებული. ასე იმიტომ მოვიქეცით, რომ მოგვაგონდა ის დიდი კანონი პირველ დასაწყისის სწავლა განათლების შესახებ, რომელსაც ჯერ ისევ 1833 წელს ადგენდა

გიზო. მაშინ გამოძიებულ იქმნა ეს საქმე და აღმოჩნდა, რომ სკოლები საშინელს ყოფაში იყო. ერის კაცთა შვილებს ბოსლებსა და თავლებში შეჰკრეფავდნენ ხოლმე და ბაგაში ასწავლიდნენ წერა-კითხვას. ვინც ამას უარ-ჰყოფს, მაშ სჩანს იმას არ წაუკითხავს წყარონი და ნაწერნი ჩვენის სავალალო წარსულის ცხოვრებისანი. რაკი გამგეობა ჩვენ მოგვანდო ერმა, მოვიგონეთ ყოველივე ესა, ფიცი ვიფიცეთ და აღთქმა დავდეთ დაგვემართა ჩვენის საფრანგეთის ყრმათათვის ისეთი დაწესებულება, სადაც შეიძლება იწვრთნებოდეს გონება ყმაწვილისა და ისწავებოდეს სიკეთე თავისუფლებისა“. (მოისმა ხანგრძლივი ტაშის-ცემა მემარცხენეთა და შუაგულის დეპუტატთა შორის).

დეპუტატებმა ტიურელმა, დუმემ დელმამ და ფელიქს ფორმა სთხოვეს პალატას: დავბეჭდოთ და გავაკრათ ყველგან საფრანგეთში სიტყვა ფლოკესიო. 276 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 166 შეწყნარებულ იქმნა ეს წინადადება.

## წვრილი ამბები

ლონდონის გაზეთ „Sanday Times“-ს დეპეშით სწერენ ნიუ-იორკიდამ: აქ ხმა დადის, რომ განზრახვა ჰქონდათ მოეკლათ პრეზიდენტი შეერთებულის შტატებისა გარრისონიო. პრეზიდენტის სახლობამ უარი უთხრა თურმე კარზედ მიმდგარს რეპორტერებს გაზეთებისას და არ აცნობა წვლილი ამ ამბისა. მაინც და მაინც ცნობილია, რომ ეხლა-ხან ამორჩეული პრეზიდენტი უგუნებოდ არის და რაღაც სასწაულით გადარჩენილა სიკვდილს.

— აი რამდენი წერილი იბეჭდება მობის დღესასწაულის გამო ყოველ წლივ: 340 აღწერა დღესასწაულისა ტყეში, 316 —მთებზედ, 241—რკინის გზაზედ, 200 —ციხეებში, 156—საგიჟეთში, 120— სასაფლაოზედ, 84—ჩრდილოეთ პოლიუსისკენ მოგზაურთა, 71—მაღნებში, 54 —ბრძოლის ველზედ, 32—თავ-შესაფარ სახლებში, 18—უსინათლოებში, 16— ყრუ-მუნჯთა შორის და სხ. ეს ანგარიში დაბეჭდილი აქვს ერთს ჟურნალს.

— ვენასა სცხოვრებს თურმე ერთი მოხუცებული ადამიანი, რომელსაც ამ დღეებში 113 წელი შეუსრულდება. ამ დედაკაცსა ჰქვიან მაგდალინა პონცა. იგი დაბადებულა მარია-ტერეზიას მეფობის დროს და ამ დედოფლისათვის მეგლის აგებას ვენაში მოსწრებია. მაგდალინა თავისს 70 წლის ქალთან ერთად სცხოვრებს მეტად ღარიბად და კეთილ ხალხთა შემწეობით იკვებება. იგი დაბადებულია 1775 წელს ბოჰემიაში.

— გაზეთი „Voltaire“ ამბობს, რომ ამ რამდენისამე ხნის წინად აბბატმა ლ—მა მოიტაცა ახალგაზდა ქმრიანი ქალი, ორის შვილის დედა, წავიდა ამერიკაში ამ ქალითურთ და გაკვეთილებით დაიწყო იქ ცხოვრება. აბბატს ეხლა უჩივიან და გარდაწყვეტილია დაასჯიმრონ თურმე, რადგან სხვისის ქაღალდებით უსარგებლნია. მოტაცებულის ქალის ქმარსაც საჩივარი შეუტანია.

— ორლოვსკის გუბერნიასა და ტრუბჩევსკის მაზრაში ადგილობრივს სათემოს უპოვნია 32,000 დღიური მიწა, რომელიც არ იციან ვის ეკუთვნის და ან აქამდე იყო სად დაფარული. მაგრამ ეს 32,000 რა შესადარებელია მთელს ამერიკასთან. მისტრის მარია სტუარტი დაპობს თურმე, რომ მთელი ამერიკა მე მეკუთვნის და აგრეთვე ინგლისის მეფობა, რადგან დედაჩემი ქრისტეფორე კოლუმბის შთამომავალი იყო, მამა-კი ინგლისის მეფის იაკობ I-საო. ეს საქმე მეტად საყურადღებოა თურმე და ბევრნიც ცნობის-მოყვარეობენ, თუ ნეტა რითი გადასწყდებაო.

## დეპეშა

25 დეკემბერი

ბერლინი. ტაინი სოვეტნიკი გეფკენი, რომელსაც ჰბრალდებოდა განსვენებულის იმპერატორის ფრიდრიხის წერილების გამოგვეყნება, განთავისუფლებულია.

ახალის წლის მისალოცად იმპერატორმა თავ. ბისმარკს უბოძა დეკრეტი.

28 დეკემბერი

სოფია. სინოდსა და ბოლგარიის მმართველთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა: სარწმუნოებათა მინისტრმა სტრანსკიმ სთქვა, რომ სინოდის თავმჯდომარემ ეპისკოპოზმა სიმონმა უსათუოდ დახმარება უნდა გაუწიოს პრინცს კობურგისასაო. სიმონმა უარ-ჰყო ეს ბრძანება და სთქვა, რომ პრინცი გულითადი მტერია მართლმადიდებლობის დიდებულ ეკკლესიისაო. მაშინ ბოლგარიის მმართველთა დაშლა უბრძანეს სინოდს. სინოდმა ამ ბრძანებასაც ურჩობა გაუწია. კიდევ ელოდებიან შეტაკებასა და უსიამოვნებას.

27 დეკემბერი

პეტერბურგი. დღეს ბირჟის კრებულის ხმოსანთა ერთ-ხმად გადასწყვიტეს სხვა დრო დანიშნონ საბირჟო კრებისათვის: დღეის იქით ბირჟის სხდომა დანიშნულია დილის $10^1/_2$ —$12^1/_2$ საათამდე.

29 დეკემბერი

ბომბეი. აღლუმის დროს მაზარი შერიფში ერთმა ჯარის-კაცმა თოფი ესროლა ემირს. ემირი უვნებელია. ჯარის-კაცი იქვე მოჰკლეს. ემირი, როგორც ისმის, ზამთარს გაატარებს ავღანის ტურქისტანში.

პეტერბურგის ბირჟა, 27 დეკემბ.

| | [illegible] | [illegible] | გაყიდუ-ლია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 59 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 150 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 14 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $273^1/_4$ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 246 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 97 „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 97 „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 82 „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

დეკემბერი 31 დღით არის.

30 დღე პარასკევი. წინ.-მეტყ. თევდორესი. კათოლ. წმ. აბრაამისა და დავითისა. მაჰმად. მე-9 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—50. მთვარე 10 დღისაა.

31 დღე შაბათი. წმ. მელანია რომაელისა. კათოლ. წმ. სილიბისტროსი და ვალენტინასი. მაჰმად. მე-10 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—51. მთვარე 11 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | $3^1/_2$ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . | 4 | „ |
| მე-3 — . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . | 14 | |
| ცხვრის ხორცი 1-ლი ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |


## განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1881 წლის 17 თებერვალს დამტკიცებულ წესდების მე-15 §-ის ძალით 4 თებერვალს 1889 წლისას, დილის 12 საათზედ, ქ. ტფილისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა განუმეორებლად ქვემო ხსენებულის მამულისა, ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახადთ შემოუტანლობის გამო, 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-ებრ.

წერეთლისა, ანასტასია დავითის ასულისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამ-განყოფილებიანის სარდაფით და ერთ სართულიანი მიშენებული სარდაფითვე. ზომა მიწისა 330 ოთხ-კუთხიანი საჟენი. ტფილისს, ავჭალის ქუჩაზედ. თვნი ვალი 5281 მან. 98 კაპ. შემოსატანი 267 მან. 58 კაპ. სულ 5549 მან. 56 კაპ.

ვაჭრობა, წესდების მე-18 §-ის ძალით, დაიწყება ხსენებულ ვალის ჯამით, რომელზედაც ზედ მივა დარჩენილი ფული სახელმწიფო და საერო (земскій) გარდასახადისა. თავნის ვალის გადაწყვეტა შეიძლება ბანკის გირაოს ფურცლებით მანეთით მანეთზედ; აგრეთვე შეიძლება ბანკის ვალი გადავიდეს მამულის მყიდველზედ. შემოსატანი ფული და ძველი დარჩენილი (недоимка) უნდა შევსებულ იქმნას ნაღდის ფულით.

მე-16 §-ის თანხმად, მოვალეს შეუძლიან დარჩენილი ფული სარგებლითა და სხვა ხარჯის შევსებით შემოიტანოს ერთის დღის წინად ვაჭრობამდე.

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

**მამიდა ასმათი**

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

მომავალ დღესასწაულებისათვის ისყიდება კახეთის საუკეთესო ღვინოები თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისა და სხვა ვენახებისა: თუნგი 1 მანეთიდგან ვიდრე 4 მანეთამდე და ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მან. 50 კაპეიკამდე.

სარდაფი იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, წინამძღვაროვის შენობაში, № 1.

(5—4) ს. ი. კურდღელოვი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | › . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | › . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | › . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | › . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | › . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

იაფად გასყიდვა საქონლისა

მხოლოდ ახალ-წლამდე

ცენტრალურს საგალანტერეიო მაღაზიაში

ერევნის მოედანი, სახლი ზუბალოვისა, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეიო საქონელი და ოჯახთათვის საჭირო ნივთები: ლამპრები, ფარნები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ჭურჭელი, სუფრის სამკაული და ნავთით საჭმლის მოსახარშავი, აგრეთვე საცვალი, ფუფეიკები, წინდები, ხელსახოცები, სუფრები, სალფეტკები, ფეხთ-საცმელი, შლიაპები, კორსეტები, კასინკები, ქერსეები და სხვანი. ბევრია აგრეთვე ყმაწვილების სათამაშოები, თოჯები და ალბომები. (11—9)

ПОДПИСКА НА

**„ТРУДЫ“**

КАВКАЗСКАГО ОБЩЕСТВА СЕЛЬСКАГО ХОЗЯЙСТВА

1889 ГОДА,

ВЫХОДЯЩІЕ ЕЖЕМѢСЯЧНО И ПОСВЯЩЕННЫЕ НУЖДАМЪ КАВКАЗСКОЙ СЕЛЬСКО-ХОЗЯЙСТВЕННОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ,

ПРИНИМАЕТСЯ ВЪ ТИФЛИСѢ,

въ канцеляріи Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства, что на Барятинской улицѣ, въ Александровскомъ саду.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ИЗДАНІЯ ЗА ГОДЪ

ЧЕТЫРЕ руб.

съ пересылкою во всѣ города россійской имперіи и доставкою на домъ.

Отдѣльные номера не продаются.

Для напечатанія въ „Трудахъ“ принимаются сельско-хозяйственныя объявленія, по соглашенію съ бюро Общества. (3—1)


Дозв. ценз. Тифлисъ 29-го Декабря 1888 года. სტამბა გ. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи), на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე